# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

**№2**

ქ. ქუთაისი 12 თებერვალი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ასათიანის ქუჩის II, III, IV, V, VI, VII და გვანცელაძის ქუჩის I, II, III შესახვევების გზის ა/ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების ფასი 37170 (ოცდაჩვიდმეტი ათას ას სამოცდაათი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1095. 06.02.2014)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 6 (ექვსი) პრეტენდენტმა:

1. ს.ს. „ხურო" – 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.
2. შ.პ.ს „LIVE DESIGN" – 29999 (ოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.
3. შ.პ.ს „გზამკვლევი 2001" – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.
4. შ.პ.ს „ხალი" – 18000 (თვრამეტი ათასი) ლარი.
5. შ.პ.ს „გეომეფი" – 24444 (ოცდაოთხი ათას ოთხას ორმოცდაოთხი) ლარი.
6. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი" – 18350 (თვრამეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2014 წლის 12 თებერვლის 14:00 საათამდე პერიოდით.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შ.პ.ს „LIVE DESIGN"-ის მიერ წარმოდგენილი ანალოგიური მომსახურების გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.

კომისიის წევრმა: მალხაზ ბასილაძემ, ანდრო მარჯანიშვილმა და კახაბერ დალაქიშვილმა.

დაადგინეს:

შ.პ.ს „LIVE DESIGN"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეფასებისათვის, საკონკურსო კომისიის მიერ არ იქნა განხილული, იმის გამო, რომ მომსახურების ანალოგიური გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

განიხილეს:

შ.პ.ს „ხურო"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „გზამკვლევი 2001"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „ხალი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „გეომეფი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

შ.პ.ს „ხურო"-მ მიიღო - 31,4 ქულა.

შ.პ.ს „გზამკვლევი 2001"-მა მიიღო - 40,3 ქულა.

შ.პ.ს „ხალი"-მ მიიღო - 38,6 ქულა.

შ.პ.ს „გეომეფი"-მ მიიღო - 37,95 ქულა.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა" მიიღო - 40,15 ქულა.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრმა: ანდრო მარჯანიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ასათიანის ქუჩის II, III, IV, V, VI, VII და გვანცელაძის ქუჩის I, II, III შესახვევების გზის ა/ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „გზამკვლევი 2001".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა" და „მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი